

## შოფინგ ფესტივალი თბილისი მოლში - აქციის პირობები

**აქციის პერიოდი:** 25.11.2016 -დან 29.11.2016-ის ჩათვლით

**აქციის შინაარსი:** აქციის პერიოდში თბილისი მოლის ნებისმიერ მაღაზიაში, ყოველ დახარჯულ 10 ლარზე უნიქარდზე გროვდება 1 ქულა (შემდგომში საბონუსე ქულა).

საბონუსე ქულის დარიცხვის სპეციფიკა:

- ✓ დღეში დაგროვებული საბონუსე ქულების მაქსიმალური მოცულობა - 50 ქულა ბარათზე;
- ✓ ბარათის მფლობელის მონაცემები უნდა იყოს რეგისტრირებული უნიქარდის სისტემაში 2016 წლის ბოლომდე;
- ✓ ფესტივალის პერიოდში დარიცხული საბონუსე ქულების გააქტიურება მოხდება უნიქარდის ნებისმიერი პარტნიორ კომპანიაში 10 ქულის დაგროვებისთანავე (*თუ უნიქარდის ანგარიშზე დაკავშირებულია რამოდენიმე ბარათი, რომელზეც განხორციელდა ფესტივალის საბონუსე ქულების დარიცხვა, პირობის დაკმაყოფილება შესაძლებელია ჯამურად ანგარიშზე დაგროვებული ქულების მიხედვით*).

**საბონუსე ქულის დარიცხვის პროცესის ალწერილობა:**

- ✓ საბონუსე ქულის დარიცხვა მოხდება თბილისი მოლში არსებულ ნებისმიერ (მათ შორის მცირე ზომის სტენდის თუ სხვა სპეციფიური ობიექტის) მაღაზიის შენაძენზე;
- ✓ ფესტივალის პერიოდში განხორციელებულ შენაძენზე მიღებული ჩეკის წარდგენა უნდა მოხდეს თბილისი მოლში განთავსებულ უნიქარდის მომსახურების ცენტრებში (თბილისი მოლის ცენტრალურ ფოიეში განთავსებულ უნიდესკოთან);
- ✓ საბონუსე ქულის დარიცხვა შესაძლებელია როგორც არსებულ, ისე ახლად გახსნილ ბარათზე;
- ✓ ოპერატორი ამოწმებს ჩეკის ვალიდურობას - მიმდინარე თარიღი, თბილისი მოლის მისამართი (დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-16 კილომეტრი, თბილისი მოლი);
- ✓ ერთი მომხმარებლის მიერ წარდგენილი ჩეკების რაოდენობა შეზღუდული არ არის;
- ✓ თუ ბარათი რეგისტრირებულია უნიქარდის სისტემაში საბონუსე ქულების გააქტიურება მოხდება ანგარიშზე 10 ქულის დაგროვებისთანავე (საბონუსე ქულის გააქტიურება ხდება საბონუსე ქულის დაგროვების შემდეგ), პირობის შესრულების მაქსიმალური ვადაა-2016 წლის 31 დეკემბერი, 24:00 საათი. ქულის დაგროვება უნდა მოხდეს უნიქარდის პარტიორ კომპანიებში;
- ✓ არარეგისტრირებულ ბარათზე ქულების გააქტიურება განხორციელდება, თუ 2016 წლის ბოლომდე მოხდება ბარათზე მონაცემების რეგისტრირება და დაფიქსირდება ანგარიშზე 10 ქულის დაგროვება უნიქარდის პარტნიორებთან. საბონუსე ქულები გააქტიურდება ორივე პირობის შესრულებისთანავე;
- ✓ ბარათი დარეგისტრირებულად ითვლება თუ შევსებულია: სახელი და გვარი, მობ. ტელეფონის ნომერი და დაბადების თარიღი;
- ✓ თუ ანგარიშის მფლობელი რეგისტრირებულია, ხოლო ბარათი, რომელზეც შესრულდა საბონუსე ქულის დარიცხვა არ არის რეგისტრირებული, საბონუსე ქულის დარიცხვა ვერ მოხდება;
- ✓ თუ მომხმარებელს დაერიცხა საბონუსე ქულა რამოდენიმე განსხვავებულ დღეს, პირობის დაკმაყოფილების შემდეგ გააქტიურდება მიმდინარე მომენტამდე დარიცხული ყველა საბონუსე ქულა;
- ✓ თუ მომხმარებელს გააქტიურებული საბონუსე ქულის შემდგომ კვლავ დაერიცხება საბონუსე ქულა, მისი გააქტიურებისათვის საჭიროა ხელახლა პირობის დაკმაყოფილება.